ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8093816

ნომერი: AR11160717

თარიღი : 14.09.2026

გაცემის თარიღი : 23.09.2026

გაცნობის თარიღი : 23.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 46, კორპუსი N6; კორპუსი N16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 14 სექტემბერს №AR11160717 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 27

იანვრის №7785720 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებით №01.14.06.006.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი B-6, სექტორი A5, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, ითხოვს B-6 სექტორი, A5 სახლისთვის დაფიქსირდეს 29 ღია ავტოსადგომი, რომლიდანაც 15 ავტოსადგომი (215.2 კვ.მ) მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 14 ავტოსადგომი (193.2 კვ.მ) №01.14.06.006.170 საკადასტრო ერთეულზე.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების გადანაწილების სქემის მიხედვით, B6 სახლისთვის გათვალისწინებულია 29 ღია ავტოსადგომი, რომლიდანაც 15 ავტოსადგომი (215.2 კვ.მ) მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 14 ავტოსადგომი (193.2 კვ.მ) №01.14.06.006.170 საკადასტრო ერთეულზე. რაც ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის ასახული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანების მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 408.4 კვ.მ. (15 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 14 ღია ავტოსადგომი - №01.14.06.006.170 -ზე).“
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 იანვრის №7785720 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.